

# ქართული დიზიკაზუკის ისტორიკოსები მოსე ჯანაშვილი

(დაბადდა 1876 წელს)

მოსე ჯანაშვილის სახელის მოგონებასთან დაკავშირებით ზედმეტი არაა განმეორება ძველი დროებ ერთერთი მოაზროვნის სიტყვებისა: „მოიხსენიეთ წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გატყობდნენ თქვენ სიტყუათა მათ მუცნიერებისათა, და ხელუდით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და მათხელთ შრომასა მათსა“ (ებრ. XIII, 7). ამ სიტყუებში გამოიხატება ჩვენი ერთგულება და პატივისცემა მოსე-ს, რომელნიც გვიცხადებდნენ ეკლიან გზას ჩვენი მომავალი მემკობისათვის.

განსვენებული მოსე ჯანაშვილი ეკლესიის ჩვენი კულტურული მოღვაწეების ამ თაობას, რომელიც თავისი უანგარო, კეთილსინდისიერი, ენერგიული და თავდადებული შრომით ნაღვავს უზნადებდა იმ სამეცნიერო საქმიანობას, რომელმაც ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ასე მძლავრად გაიძვრა ფესვები და გაშალა ტოტები ჩვენში. თითქმის სამოცი წლის განმეობაში (1876 — 1934) მოსე ჯანაშვილი სანთელივით იწეოდა მეცნიერების შანსულზე, ის ხედავდა და შეეხაროდა ამ დღის მოაზრობას, როდესაც ჩვენში დაინთებოდა უმაღლესი ცოდნის ლამაზი. ის მოესწრო კიდევაც იმ მომენტს, როდესაც ჩვენში შეიქნა უნივერსიტეტი, რომელმაც ის თავის წყევრად და თანამშრომლად გამოაცხადა მისთვის პათფესორის წოდების მინიჭებით. მოსე არამც თუ მეცნიერებას ემსახურებოდა გატაცებით, ასედაც გატაცებით გვლენოდა თავს იმ ამბავებზე, რომელნიც მეცნიერული მემკობის ინტერესს აზენდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ტყბილი სიტყუით ამზენებდა მათ და შრომას უადვილებდა.

მოსე ჯანაშვილს მემკობა უხდებოდა, ყოველ შემთხვევაში თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ამ დროს, როდესაც ჩვენი მეცნიერული აზრი დიდფრერ მღვობარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მან არ იყო და დიდფრენციაცია მეცნიერული მემკობისა და სპეციალიზაცია ამით ამზენება, რომ ის თავის ნაშრომებში გველენება როგორც ისტორიკოსი, — საეკლესიო და სამთქალაქო, — ისე ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელი, როგორც არქეოლოგი, ისე ეთნოგრაფი, როგორც ლინგვისტი, ისე პალეოგრაფი, და ასე. ამ წერბლში გვინდა მოკლედ გავითვალისწინოთ ის შარე მ. ჯანაშვილის მემკობასა, რომელმაც მხედველობაში აქონდა ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია.

მოსე ჯანაშვილის კვლევა-ჩიების ობიექტს შეადგენდა უმთავრესად ძველი ქართული ლიტერატურა. ახალი ქართული ლიტერატურიდან მისი საგანგებო კვლევითი ყურადღება მიაძყრო მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ, რომ

მელსაც, მისი ტრავიკული გარდაცვალების გამო, 1907 წელს მან შეუძღვნა ერთელი წერილი („ნაშრომი“ № 2, გვ. 3—27). ამ წერილში მან აღნიშნა დახასიათებული ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი მდგომარეობა შეცხრამეტ საუკუნის მეორე ნახევრისა. სამაგიეროდ ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას საქმეში მას უაღრესად სამართაო ადგილი უკავია, თავის უამრავ ნაშრომებში განსვენებულს დაუგროვებია მჭრელ მნიშვნელოვანი მასალა ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს ნაშრომები გათვალისწინებს სხვადასხვა დროის ქართულსა და რუსულს პერიოდულ გამოცემებში, დაწყებული ოთხმოციათი წლებიდან, ამიტომ ადგილი არაა დღეს გათვალისწინება და კლასიფიკაცია მისი შეტანიერული შეშვეილყოებისა. მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს საქმე, იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო განსვენებულს სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ისტორიკონებისათვისაც.

რა გააკეთა მთავრად ჯანაშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის?

ჩვენი ძველი მწერლობის სისტემატური შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში შეშვეილებსა და სიძველეთ-საცავეებს, სადაც თავს უყრიდნენ ხელნაწერებს და ამით მათ, ერთის მხრით, იცავდნენ მოსპობა-განადგურებისაგან, მეორე მხრით კი ხელმისაწვდენს ხელსაწყო დაინტერესებულ პირთათვის. მთავრად ჯანაშვილი ერთერთი აქტიური მებრძოლი იყო ამ საქმისათვის, ამას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შექმნა ისეთი მსხვილი კოლექციების შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში, როგორც იყო „ქართულთა შორის წერა-კითხვის გაშავრელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავისა და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კოლექციები. ჯანაშვილის მიერ კი აღსანიშნავია მისი დიდი „საეკლესიო მუზეუმი“ დაარსებისა და მისი ზრდა-განვითარების საქმეში. 1888 წლის 15 ივლისიდან, როდესაც ფაქტობრივად გაიხსნა მუზეუმი, ათი წლის განმავლობაში ის აქლთ დიდად მუშეუშთან, უკრ როგორც თანამგრობი მისი საქმიანობისა. 1897 წლიდან როგორც წვერი სამუშეუშო კომიტეტისა. ხოლო 1898 წლის 10 აპრილიდან ის ხდება გამგე მუზეუმისა; ამის შემდეგ ის მუზეუმში რჩება თითქმის გარდაცვალებამდე. მის ხელში, მის თვალწინ უაღრესად დიდად, შეიღრდებოდა და ინარდებოდა მუზეუმში. მისი შრომეულობით შობოდა მან პოპულარობა და ცნობილი გახდა სამეცნიერო წრეებში. მუზეუმში იყო ნამუშევილი მისი შვილი, მისი სისტლი და ხორცი; მისი რედაქციით შექმნილია უდიდესი ნაწილი ამ უმდიდრესი კოლექციისა, მის ხელში გათვლია ყველა, აქ თავმოყრილ ხელნაწერს, მის მეორეა გადამწერეული თეოლოგიური მათეანა, გადამწერილი და პაგინირებული ის შექმაროდა ამ დაწესებულების წარმატებას, მას გულმეხსტეოდა მისთვის და საკეთარი ოჯახე უფრო ივლებოდა მას თავს. აქ თავმოყრილ საგანებრს ის სამართლიანად „ქართულთა მილიონებს“ უწოდებდა („ივერია“ 1894 წ. № 135).

## უარსი ნაწილი

გვერდი 119

მუზეუმში თავმოყრილი ხელნაწერები მკვდარ და მეცნიერობისათვის გამოუყენებელი მასალა დაიწინააღმდეგა, თუ იმათ ცნობაში არ მოიყვანდნენ. ამ საქმის მოაჯარი სიმამრე მოსე ჯანაშიელსავე აწვია კისერზე. მან შედგინა ბირჟული, წინასწარი კატალოგი მუზეუმის ხელნაწერებისა და სხვადასხვა ნაწილებისა, რომელშიაც მოკლედ აღწერილია 484 ხელნაწერი და 591 სხვადასხვა ნაწილი. ის დებულობდა საქმიანს, მაგრამ მუზეუმის მონაწილეობის იმ აღწერილობაში, რომელიც 1902 წელს ორ ტომად გამოვიდა (თ. ერკლანაძის სახელით და შეადგენს სათაურით: Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, карталинно-кахетинского духовенства, რადგანაც ეს აღწერილობა შედგენილი იყო თ. ერკლანაძის მიერ სხვადასხვა ტომის და ის უბიძგოდ იბეჭდებოდა, მ. ჯანაშიელს უბეჭდებოდა არა მარტო საბჭოში მოწყვანა აღწერილობისა და მისი კორექტირის წარმოება, არამედ საჭირო შემთხვევაში აღწერილობის თვით ხელნაწერებთან შედარებაც. თ. ერკლანაძის „აღწერილობაში“, რომელსაც მოუხედავად მისი დედაპაპებისა, დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, შევიდა 800 ხელნაწერი. 1908 წელს გამოვიდა მესამე ტომი ამ „აღწერილობისა“, რომელიც მთლიანად ეკუთვნის ვანუშენბერს მოსე ჯანაშიელს. ამ ტომში აღწერილია 240 ხელნაწერი (801—1040) და ის თავისი მოცულობითაც (372 გვერდი) უჩვენიბს, რომ, თ. ერკლანაძის აღწერილობასთან შედარებით, ნაბიჯს წარმოადგენს წინ. იმასი დავაყოფილებულია თითქმის ყველა მთავარი მოთხოვნისა შეცნობილი აღწერილობისა, ყოველ შემთხვევაში ის საკმაოდ სრულს წარმოადგენს იმდენი ამათგან ძეგლის შესახებ. დღეს ჩვენ შეგვიძლია და ვაღიფიქროვოთ ერთ ვითარებით უფრო სრულყოფილ აღწერილობაზე, მაგრამ თავის დროისათვის ის უაღვიფრეს დადებით მოუღწიათ უნდა მითითდეს. მოსესვე ეკუთვნის გაგრძელება ამ აღწერილობისა. „ჯერ მის მიერ აღწერილია მოკლედ 1041—1109 ხელნაწერები“, ხოლო ეგვიპ ხელნაწერები და სხვადასხვა (რიცხვით 674), რომელიც მუზეუმში შემოვიდა 1908 წლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც ის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის“ შემადგენელ ნაწილად იქცა (1930 წელს), აღწერილია მის მიერ დაწერილებით 1921—1928 წლებში. ეს აღწერილობა ხელნაწერის სახით იწინებს „საქართველოს მუზეუმში“ და დიდ სამსახურს უწევს ყველა მეცნიერ მტკიცს, სასურველია მისი გამოცემა, აღწერია მისი შედარებით მოკლედ, მოკლი კოლექცია „წერაკითხვის საზოგადოების“ მუზეუმისა. ისიც ხელნაწერად დაიწინა.

გარდა ამისა, მოსე ჯანაშიელს ხელნაწერთა შესახებ აღწერილობით საინფორმაციო ცნობები მოთავსებული იქნა სხვადასხვა პერიოდულს გამოცემაში სხვადასხვა დროს, იმისდა მიხედვით, თუ როდის შემოდიოდა

\*) იხ. მისი Тифлиское церковное древшехранилище, стр. 31—100, 1898 г. და Каталог Церковного Музея Грузинского Эпархата, стр. 3—14, 1899 г.

\*) იხ. მისი Каталог предиздан Церковного Музея груз, духовенства 1914 г.

ესა თუ ის ხელნაწერი შეხვედრამე. ამ გზით ის აცნობდა საქართველოს მტრულთა ათთქმის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერს, ამ მიზნისათვის ყველაზე მეტად ის იყენებდა ი. ჭავჭავაძის „ივერიას“<sup>1)</sup>.

მ. ჯანაშვილი იძლეოდა ხელნაწერთა არა მარტო აღწერილობას, არამედ გამოცემასაც. ჯერ კიდევ ხელნაწერთა აღწერილობაში შეეტანია მას მეტად ვრცელი ამონაწერები ამათვის ამხულებიდან. საქმარისთჳ მავალთათ, გადაათვალიეროთ მის მიერ შედგენილი შესაწერ ტომე მეხუთოს ხელნაწერთა აღწერილობისა, რომ ეს ნათელი ვახდეს: აქ მოცემულია ცხოვრება აბიბოს ნეკრესელისა (გვ. 25 — 28), ექსცერპტები ბალაფორიანთან (28 — 44), გიორგი მეფის ბრძოლის ისტორია დემნა ბატონიძეილოან (94 — 100), წამება რაქდენისა (152 — 156), გორიდეის რაზმთაჳს მინაწერები (258 — 250), ერთერთი თარგმანი გუოტრაფის ეპილოგი (261 — 265), იოანე ანდროს საგალობელი (308 — 312), ლექსი ტვაბთიხვის მონასტრისა (199 — 200), წმ. გიორგისა (303 — 305) და სხვ. უფრო საყურადღებოა, რასაკვირველია, მისი ისეთი გამოცემები, რომელთაც შესულია მთლიანი საბით მთელი რიგი რთვორც ნათარგმნი, ასე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლებისა.

ნათარგმნი ძეგლთაგან მას გამოუცია: 1) ცალკეული თავები ე. წ. შატბერდული კრებულია, სახელდობრ: ეპიფანე კვიციანის „ათალთარგ“<sup>2)</sup> და „სამომთათეს და სიწმინდეთა“<sup>3)</sup>, აგრეთვე „სიტყუა — მკურნალთაგან“<sup>4)</sup> უცნობი ავტორისა.<sup>5)</sup> 2) გიორგი პოსტას (VII ს.) „თრობა“ კონსტანტინოპოლის მოციქისა „სამარსთა და ბარბარობთაგან“.<sup>6)</sup> 3) გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „სეინაქსარიდან“ ამოკრული ცნობები ქართულთა მეზობელ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ.<sup>7)</sup> 4) ამოკრული ცხოვრება იოანე დეოქსეტეველისა, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი.<sup>8)</sup> 5) ანდრია მოციქულის მიმოსულა.<sup>9)</sup> 6) ორი ფსევდო-ეპიგრაფიული „საკითხავი“ წმ. სინოსი.<sup>10)</sup>

ორიგინალურ ქართულ ძეგლთაგან მის მიერ გამოცემულია: 1) ცხოვრება იოანე და ექვთიმე ათონელებისა (ათონის კრებული, გვ. 1 — 68) მადრი საბელობის საგალობლებითურთ (გვ. 109 — 110, 187 — 215). 2) ცხოვრება ილარიონ ქართველისა და საგალობლები მისი (გვ. 69 — 108, 177 — 186). 3) აღაპები ათონის ივერთა მონასტრისა (გვ. 216 — 274). 4) ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა საგალობლებითურთ (გვ. 279 — 358). 5) ცხოვრება

<sup>1)</sup> იხ. მისი Каталог Церковного Музея Грузии. Закарлота, стр. 12, примеч.; აგრეთვე Указатель к статьям и материалам в грузин. периодической печати (1892—1910), под редакцией Н. Квициани, Петроград, 1916 г. Пагпреж Д., Алфавитный указатель к пятидесятной карте Закавказского края, Тифлис, 1913 г.

<sup>2)</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в XXIV.

<sup>3)</sup> „აღმარაგ“, გვ. 118 — 134, 1891 წ.

<sup>4)</sup> შვეტლბა IX — X სტუტრისა, 1891 წ.

<sup>5)</sup> Сборник материалов для описания в XXVII აქ დაბეჭდილი ნაწილი მოთხრობისა მთლიანად ის გამოცემა კრებულითაჳს 1903 წ. (მეცხუთის) გვ. № 7).

<sup>6)</sup> Известия грузин-детовских и историков о Херсонесе, Готфии, Осетии, Хаварии, Дилотии и России (Сборник материалов, 22).

<sup>7)</sup> ათონის ივერთა, 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 111 — 175.

<sup>8)</sup> ქართული შვეტლბა II, 49 — 53.

<sup>9)</sup> История грузинской церкви I, 80 — 93.

სერაპიონ ზარშმელისა (ქართული მწერლობა II, 1—48). 6) *ქართული მწერლობა* — ქალაქებანი (1911 წ.). 7) აბდულ-მუსიანი იოანე შავთელისა, *საქართველო* (1915, 1920 წ.). 8) „აღლუხიანი“ იოანე იაღლუხიანისა<sup>1)</sup>.

როგორ გამოიყურებიან ეს გამოცემანი, შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ მათი კრიტიკულ გამოცემად? ამისათვის ჯერ საჭიროა გაირკვეს ზოგადად, როგორი უნდა იყოს კრიტიკული გამოცემა ამათვის შევლისა? კრიტიკულია, ჩვენს გაგებით, ის გამოცემა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული ხაზით იძლევა ძეგლის სწორ გაგებას და ინტერპრეტაციას, ხოლო ლინგვისტურით — ავტორის თუ მთარგმნელის ეპოქაში გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტსა. შეეძლო თუ არა დაეკმაყოფილებოდა მ. ჯანაშვილს ეს პირობები თავის გამოცემაში? არ შეეძლო, ჩადგანა იმ დროს, რომელსაც გვუთვნიხს მისი შემოთამოთვლილი გამოცემები, ჯერ კიდევ არ არსებობდა ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა, თუგინდ იმ სახით და გაგებით, რომელიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება, თან არც ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონე იყო ჩვენში მაშინ ისეთი, რომ ამრმწერალი და ზუსტი ენობა ყოფილიყო მოსალოდნელი ამათვის შევლის შესახებ, განსაკუთრებით თუ ეს ძეგლი მთარგმნი იყო. სამაგიეროდ, რის გაკეთებაც ეს შეეძლო იმ დროს განსვენებულ მკვლევარს, გაკეთებელია მის მიერ საერთოდ დამაკმაყოფილებლად, საბუნდობრივად: 1) იწერდა ტექსტებს ზუსტად და უცვლელად; 2) უჩვენებდა მის წარიატებს, თუ ასეთები მოიპოვებოდა, 3) ურთავდა მას საჭირო შემთხვევაში ლექსიკური ხასიათის განმარტებებს. ამ თვალსაზრისით მისი გამოცემები არც ისე დამსაგმობია, როგორც მათ ჰგომბდა თავის რეცენზიებში განსვენებული ნ. შიარო. თუ რამე უსაფუძვლოდებოდა მას ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის, რომ ყოველთვის საუკეთესო ნუსხებს არ მიმართავდა გამოცემის დროს, ასე, მაგალითად, ვიორგი ათონელის ცხოვრება მან გამოიტყა 1733 წლის (A 170) ნუსხიდან, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების კოლეჯიაში მას შეეძლო ეპოენა უძველესი, თვით XI საუკუნის და მომდევნო ხანის ნუსხები.

მ. ჯანაშვილს, რომელმაც დაგვიტოვა „ქართული მწერლობა მეათე საუკუნეში“ (1900 წ. „ქართული მწერლობა“ I), „ქართული მწერლობა“ IX — X საუკუნისა (1891 წ.), „ქართული მწერლობა XII საუკუნეში“ („იუჩია“ 1899 წ. №№ 98—103, 158—162), ორი წიგნი „ქართული მწერლობისა“ (1900 და 1909) და ორი „ნაშრომისა“ (1907, 1910), არ უედიმ ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი მიმოხილვა და არ დაუწერია მისი სისტემატიკი კურსა, თუ გინდ იმ საბისა და ღირებულებას, როგორცაა მისი „საქართველოს ისტორია“ (1906) და „История грузинской церкви“ (1898). მართალია მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „Царица Тамара“ (1900 წ.), ჩვენ ეპოელობით თავსა, — Краткий обзор грузинской истории и литературы до эпохи Тамары (стр. 1—24), მაგრამ აქ მხოლოდ ჩამდენსავე გვერდზე (19—22) ავტორს გაყვით

<sup>1)</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXII.

აღნიშნავს ზოგიერთი თხზულება და მნიშვნელოვანი ხელნაწილების მართვის წინადადობისა, აგრეთვე საგანმანათლებლო ცენტრები და საზღვარგარეთ, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად ის ლამარაკობს სპეციალურ შრომაში — „Грузинские общины вне Грузии“. ხეობაზე ხელნაწილს თამარის ისტორიაში, მეათე თავში (გვ. 73 — 93), მას თითქოს განუხრახნავს ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის მიმოხილვა, მაგრამ, პროფ. ა. ცაგარელის წინაშე აღმოცენებული ორიოდუ ცნობის შემდეგ, ის წერდება საგანგებოდ რუსთაველზე და ათელი რვა გვერდი დაუკავებია პ. იოსელიანის ზოგადი, ცნობილი მსჯელობით კვების-ტვირთის ღირსების შესახებ.

განსვენებულს ანტიერესებდა ცალკეული პრობლემები და დარგები ძველი მწერლობისა, რომლებზედაც ჩვენ შევჩერდებით. ჩვენს მიმოხილვაში არ შევლენ საისტორიო მწერლობის პრობლემები და ძეგლები, რომელთაც განსაკუთრებით მატიაწეებში, შთანთქმს დიდი წილი მ. ჯანაშვილის შემოქმედებითა ენერჯისა.

ერთერთი საკითხი, რომელიც განსვენებულს საგანგებო ყურადღებას იქცობდა, არის საკითხი ქართული ბიბლიისა და მისი გადმოთარგმნის შესახებ. მ. ჯანაშვილს ანტიერესებდა როგორც ცალკეული ბიბლიური წიგნები, ისე მთელი ბიბლია. ცალკეულ წიგნთაგან მას განუხილავს „დღეიანი“ (ივერია 1899, № 27) და „სახარება“: მეტეხის სახარება 1049 წლისა (ივერია 1892 წ. №№ 76, 79, 80, Кавказ 1892 წ. № 88). განსაკუთრებით კი ე. წ. ურბნისის სახარება (ივერია 1904 წ. № 21, ნაშრომი 11). ინტერესი ამ სახარებისადმი გამოწვეული იყო მისი თარიღით ხ რ ი, რომელიც, როგორც ახლა ირკვევა, შემდეგშია მიწერილი და უჩვენებს 602 (ბერძნულით), 506 (ქართულით) წელს. შევლევარმა შეადარა ზოგიერთი ადგილი ამ სახარებისა თანამედროვე ქართულს, სომხურს და რუსულს. ბერძნულს ტიშენდორფისეულს და ძველი ნუსხებისას A 18, S 405-ს, აღნიშნა მისი მცდარი წაკითხვები, ნაკლებოვანი ადგილები („ნაშრომი“ 11) და ბოლოს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების მანდობილობით თავიდან ბოლომდე გადაწერა ასომთავრული ხელით და გამოსაცემად დაამზადა, თუმცა, არ უცცა — რა მიზეზით, ის არ გამოსულა. „ჩვენ არ გესურს“, ამბობდა განსვენებულმა, „სინამდვილეს წინ გაუსწროთ და ბლომა და მტკიცე საბუთების მოუფროვებლად რაიმე გადკრილ აზრს დავადგეთ ურბნისის სახარების დედნის შესახებ“ (ნაშრომი II, გვ. 63), რაც შეუხება მისი გადმოთარგმნის დროს, „ხვენ ვერ დავიყინებთ“, ამბობს ის, რომ „ურბნისის სახარება იყოს გადაწერილი სწორედ 602 ან 506 წელს“ (გვ. 41). მაგრამ „დაუჯერებელი არაა, რომ ეს IX-X საუკუნის სახარება იყოს პირი 602 წელს ძველის დედნიდან სიტყვა სიტყვით გადაწერილს სახარებისა“ (გვ. 41).

უწერია განსვენებულს აგრეთვე ეთორგი ათონელის „სამოციქულოს“ შესახებაც (ივერია 1909 წ. № 32), მთლიან ქართულ ბიბლიას მ. ჯანაშვილმა მიუძღვნა წერილები „ჩვენს დროებაში“ (1912 წ. № 24), „სახალხო გაზეთში“ (1910 წ. №№ 175, 187) და განსაკუთრებით „ნაშრომის“ შესახებ წიგნში (გვ. 37 — 70). ამ უკანასკნელში ის ლამარაკობს საგანგებოდ მის მიერ აღმოჩენილი ორი ნუსხის შესახებ (A 570 და 646), რომელნიც მიცნაურებაში შევიდნენ „ჯანაშვილისეული“ ევრსიის სახელით.

მისი სიტყვით, ამ ევრბაებში, რომელნიც გადმოთარგმნილნი იყვნენ ადრე, ვიდრე 976 წლის ბიბლია, საბუღლობრ — არა უკვირებს VI სუკანისა (გვ. 37, 38, 62), შენახულა განურყურელად თავდაპირველი ტექსტი ქართული ბიბლიისა (გვ. 62). მეორე საკითხი, რომელსაც მკვლევარი სვამს, ასეთია: რომელი ძველისძველი მსოფლიო ვატიანტიკანთა თარგმნილი ეს თავდაპირველი ტექსტი? მკვლევარი ჩამოკვეთვლის ბიბლიური ტექსტის სხვადასხვა რეკონსტრუქციას და ასევე, ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე, რომ „ქართული დაბადება თითქმის ყველაფერ 70-თა თარგმანთა“ (გვ. 63). ავტორის შრომაში საუბრადღებოა, ერთის მხრით, დასაბუღებელი ვარსიების შეთარგმნება ერთს მუორესთან, აგრეთვე მცხეთისა და 978 წლის ბიბლიების ტექსტთან, მეორეს მხრით, იმათგან ძველისა და იშვილთად ხმარებულ სიტყვების აბრკობა.

სიბლიოლოგიური მკვლევარისათვის ღრუბლ შინაშენქლოვანთა საკითხი ქართული ბიბლიის თარგმნის თარიღის შესახებ, იმ დაუნდობელად, თუ ვამოდებთ ებრაელის ნ. შარის საბუთებს თავდაპირველი ქართული ბიბლიური ტექსტის სომხურიდან მომდინარეობისას, მკაცრი კლთთი ეკამათება და ბაქრადესაც, რომელშიც ურბნიის საბარების ტექსტში აღწინა არბენიშეში და ასევე, ამხობდალ მცხოვრებთ ვრები გულტრები იტნობდმენ, რომ ერთმანეთისაგან არა ესესხნთ რა, არა გადმოვლით რა, თუ ქართველები სთარგმნიდნენ სომხურადამაც საქირთ ვიგნებს, ტებად ჩავთვლებათ. მაგრამ არ გუჯერა, რომ იერუსალიმიდან მოსულ ნინოს იქ არ ვავენოა შედმინწყენათ არ შეუხწყელა ბერძნული საბარება და ამ საბარების თარგმნისათვის არ ებრუნა საქართველოს მოქცევის შემდეგ, რომ საბერძნული ქრისტიანობისა და აგრეთვე სასტლიერო იერარქიას მიმღებურს საბარებაც ბერძნებიდან არ მიუღო და ეს საბარება თ. ვის ენაზე არ უთარგმნა ბერძნული საერთაშორისო და სამეცნიერო ენიდან, არამედ სომხურიდან, ენიდან იმ ერისა, რომელსაც ბერძენ-ქართველთა მსოფლიომ აღრიღვანე დაუწყო ბრძოლა, როგორც „მწვალებლობის“ მომხრეს და გამლყაძებელს“. („ნაშრომი“ № 2, გვ. 43 — 47, განსაკუთრებით 47).

მეორე დარღ უძველესი მასტლიერო მწერლობისა, რომელიც ჩვენს მკვლევარს იზიდავდა, არის ავთოგრაფია: ეს დარგი ჭარბადა წარმოდგენილი მის გამოცემებში, რომელიც ზემოთ ჩამოთვალეთ. კვლევების მხრით ნათარგმნი ავთოგრაფიდან მისი ვურადღებეს ცენტრში იყო „დიდი სეინაქსარი“ ვიორგი მთაწმიდელისა, რომელშიაც მის ბინტერესებდა მსტორიული ცნობები როგორც საქართველოს, ისე მისი მუზობელი ერებისა (ივერია 1898 წ., 1909 წ. № 35), და ანდრია მოციქულის „მომოსელა და ქადაგება“, ეჭვთიშე თონელის მიერ გადმოთარგმნილი, ამ უკანასკნელი თბუღლებით ეს დაანტერესა განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის ენობილმა გამოცელებამ ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში, რომლის მთავარ დებულებებს ეს ეერ ტრადებოდა („ქართული მწერლობა“ 11, 49 — 53, 80 — 82, 102 — 108) და ზმ ცნობებით არღვევდა, რომელნიც ამ ნათარგმნ თბუღებაში გვაქვს, განსეუენებელი მხედველობაში არ იღებდა, თუ ამ უკანასკნელში საიდან და როგორ გაზნდა ეს ცნო-

ბუნად უფრო მეტი გააცნობა მან თხოვნიანდური ავთოგრაფიის<sup>1</sup> მას აინტერესებდა: 1) წმ. ნინოს ცხოვრება, რომელსაც მან უწოდებდა ლემიკური მასიათის ნაშრომი „აღვადგინე“, სადაც გარჩეულია ექ. თავისი შეილას გამოცემა ნინოს ცხოვრების შატბერდული რედაქციისა, შესწორებულმა ბევრი ადგილი გამოცემისა და აღგანიღმა მისი წარუყვანლო ადგილები. 2) ესტატე მცხეთელის მარტვილობა, ამ მარტვილობას ავტორმა უწოდებდა სვეციალური წერილი, რომელშიაც ის სცდილობს დაარღვიოს იუ. ჯანაშიაშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი ამ ძეგლისა და მასთან დაკავშირებით ქართლის მეფობის შესახებ VI — VII საუკუნეებში (ქართული მწერლობა — II, 106 — 119). 3) განსაკუთრებით მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ცხოვრება“ სერაპიონს მარნაშვილისა, მართალია, ამ ძეგლთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში ავტორი უკრთონად ვერ ერყვეოდა, მაგრამ გამოცემა მისი, რომელშიც, უარდა სერაპიონის ცხოვრებისა, განმოდგლია ცხოვრება-მოღვაწეობა იოანე ბეტრანისა და ბერი ქართულ მწერლობაში მისი ფილოსოფიური შრომისა („კაცობრივი ღმრთისშეტყუებლობანი“), არც ისე ცუდ შედეგადიღებდას სტოკებს, როგორც ეს ეხვეწებოდა, განსაკუთრებულს ნ. შარს, რომელიც კრძალი წერილში მწერდა: Жизнь Зоровакого строителя старательного пздано, жемчужным сообщением в этом виде азрнты, извините за выражение, и явственно кучу надательского (с' перевищеною отчасти) нежелания. ასეთი შეფასება ამ გამოცემისა პასუხი იყო უფრო იმ კრიტიკული წერილებისათვის, მართს წინააღმდეგ, რომელთაც გამოცემულმა მოათავსა სერაპიონის ცხოვრებისათვის ურთულ და რომლის შესახებ ნ. შარს იმავე წერილში იწერებოდა: просмотрел критическую статью Дрозданишвили, какой кошмар! И это печаталось в двадцатом веке! И пишется! დამშვიდებულს სულთერ მდგომარეობაში ის აღბათ უფრო ობიექტურად შეაფასებდა ამ გამოცემას.

შემდეგი დარგი საუკუნისო მწერლობისა, რომელშიაც განსვენებულს უწამობები ეკლესიაშიებშითი შეშობდა, არის პიმნოგრაფია ლიტერატურა — პომიდლეტიკითურთ. ქართულ პიმნოგრაფიას მიუძღვნა მან თავისი შრომა „საფრეგი შეიანო საუკუნისა“ (1891 წ.). აქ განხილულია მიქელ პოდრიკოსის ნაფგარი (S 425) და მისი შინაარსი, ავტორი ეხება ურებულში მოხსენებულ პიმნოგრაფებს და საგალობლებს, აქ მოცემულ ნოტებსა და ტერმინს „მეხური“, რომელიც, მისი გაგებით, ნიშნავს „სომხურს“. ლიტერატურის დარგში მას აინტერესებდა იაკობ მოციქულის „ეპისტოლეა“, რომლის ტექსტი მას თავისი ბელთი ვადმოიწერა თავის დროს. ამ საუკუნადლებში მიგღს, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია და თარგმნილი რუსულად და ინგლისურად, მან ერთში პირველთაგანში მოაქცია ურბადება და უძღვნა რიგი წერილებსა (ივერია 1897, №78 258, 261, მისივე „ქართული მწერლობა შეათე საუკუნეებდე“, 1900 წ.), რომლებშიაც ის სცდილობს გაარყეოს რაობა თბულებსა, დრო მისი გაღმერთარუმისა და მისი უძველესი ხელნაწერის (A 86) გადაწერისა. თუ ეს ცდა ცუად დარბა მბოლოდ, იმიტომ, რომ იღნიშნული საკითხების გადაწვეტა ბერძნულად დად-

წინა და მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ჩვენს მანერ-  
ლტერატურაში მწერლობიდან განსვენებულს ყურადღება მიუქცევდეს მისი  
ბოლნელის ქადაგებათათვის, ამოუკრებიან ისინი სხვადასხვა ხელნაწერიდან  
(ათონის წესა ამ ქადაგებებისა მას არ სცოდნია) და აღუდგენია მთლიან-  
ნი სახე ამ მოღვაწისა, როგორც მწერლისა.

არანაყლები შრომა გაუწევია განსვენებულს ძველი ქართული საერო  
ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ამ მწერლობიდან მ. ჯანაშვილს, კლასი-  
ციური ხანა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ე. წ. აღორძინების უკანას-  
კნელზე ეს სერიოზულად არ შესერებულა. აღორძინების ხანიდან ერთს  
წერილში ის იძლევა (ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას პეტრე ლარაძის „დი-  
ლაჩიანის“ შესახებ (ივერია 1905 № 23), მეორე წერილში გადმოგვცემს  
შინაარსს პოემა „ეასტანგაიანისას“ (საქართველო 1917 № 163), შესაძე წე-  
რილში ათავსებს რეცენზიას დავით გურამიშვილის თხზულებათა გამოცე-  
მაზე. გარდა ამისა „აღღუზიანის“ ტექსტის გამოცემას მან დაურთო თა-  
ვის დროისათვისაც მიღლებელი და გაუზიარებელი ისტორიულ-ლიტერა-  
ტურული ნარკვევი, რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ აღღუზიანი ისტორიუ-  
ლი პირია, რომელიც მერვე საუკუნის ნახევარში ეხოვრობდაო<sup>1)</sup>.

კლასიკური პერიოდიდან განსვენებული არკვევს სარგის თმოგველს  
„დილაჩიანს“, ამირან-ღარეჯანიანს, ვეფხისტყაოსანს და მეზობლებს.  
სარგის თმოგველს ჩვენამდე არ მოღწეული „დილაჩიანის“ ნაწილად ის  
სთვლიდა თავდამირველად საზართა შეფუების, — ჯიმშერისა და მისი შვი-  
ლის არმოკლას — ცნობილს ამბებს, რომელიც მან რუსულადაც სთარგშ-  
ნა<sup>2)</sup> და რომელსაც ის „პატარა დილაჩიანს“ უწოდებდა. მაგრამ მას შემ-  
დეგ, რაც დაიბეჭდა პეტრე ლარაძის „დილაჩიანი“, რომელიც მან სარგისის  
ნამდვილ „დილაჩიანად“ მიიჩნია, დაწმუნდა, რომ შემცდარი იყო (ქართუ-  
ლი მწერლობა II, 128). გაზეთ „ტრიბუნაში“ (1823 № 506) მოთავსებულ  
წერილში ის ეკამათება ს. კაკაბაძეს და ამტკიცებს, რომ „დილაჩიანი“  
არის ნაწარმოები არა შეცამეტე საუკუნის ნახევრისა, არამედ თამარის  
დროისა, და ავტორი მისი შრის სარგის თმოგველი. გარდა ტრადიციისა  
არაერთაზნ საბუთი მას ამისათვის, რასაც ვიხსენებო, არ გააჩნია.

ამირან-ღარეჯანიანის შესახებ შეკვლევარი ლაპარაკობს საგანგებო ნარ-  
კვეში, რომელიც 1895 წელს გამოვიდა („მოსე ხონელი და მისი ამირან-  
ღარეჯანიანი“). აქ ის ამტკიცებს, რომ რომანი, რომელსაც თანახმად მან  
მიერ ნაწევნები საესებიო დამაჯერებელი პარალელისა, დიდი ვაგლენა  
მუხბენია ვეფხისტყაოსანზე, დაწერილია თამარის დროს მოსე ხონელის  
მიერ და ორიგინალური ნაწარმოებია. უკანასკნელი დებულების სასარ-  
გებლოდ მას მოკვავს ისეთი არგუმენტები, რომელნიც ნ. მარბა თაენს  
რეცენზიაში კატეგორიულად უარყო (ЖМНПрос. 1896 № 10). ამან გა-  
მოიწვია სპასუხო წერილი მოსე ჯანაშვილისა, — О происхождении

<sup>1)</sup> Сборник материалов, вып. XXII.

<sup>2)</sup> Известия грузинских летописей и историков о Херсонесе, Готфр. Осетия, Хазария, Дидоэтия и России, стр. 15—18 (Сборник материалов, вып. XXII).

грузинских классиков,<sup>1</sup> — რომელშიც ის უდაბლეს დაარსებულ მწერ-  
რის ბრალდებანი, და თავის შერივ, იბილაეს რა ნ. მაროშ<sup>2</sup> შეხედულებ-  
ებს ამირან-ღარეჯანიანის სპარსული წარმოშობის შესახებ,<sup>3</sup> სამართლიან  
ნი კრიტიკის ჭარბეხლში ატარებს და არა ნაკლები კატეგორიულობით  
უარყოფს მათ. 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა „ცნობის ფურცელში“  
(№ 2466) მოათავსა წერილი, რომელშიაც ნ. მაროშის შეხედულებებს გამოე-  
ჭომაგა. საბასუხოდ იმავე წლის იმავე გაზეთში (№№ 2472, 2473) ბ. ჯა-  
ნაშვილმა მოათავსა წერილი, — რომელშიაც უფრო აზუსტებს შარსად-  
ში მიმართულ საბასუხო წერილში გამოთქმულს თავის დებულებებს, ეპყს  
გამოსთქვამს, რომ „ყისაჲ ქაშხა“ მოსე ხონელის ამირან-ღარეჯანიანს  
გულისხმობდეს და უმატებს: „შეგვიძლია, ეფიქროთ, რომ თვით მოსე  
ხონელმა, მსგავსად „ყისაჲ ქაშხა“, თვით შესთხზა ამირან-ღარეჯანიანი  
და მასში შეიტანა ცნობები შესახებ სხვადასხვა გმირებისა“ (ქართული  
მწერლობა, II, 129). ამის შემდეგ ის ამირან-ღარეჯანიანის საკითხს აღარ  
დაბრუნებია.

არცერთ თხზულებას არ მიუძღვეია გამსვენებული მკვლევარის იმდენი  
ფურცაღლება, რამდენიც ეფეხისტყაოსანს. ამის მიზეზი თავისთავად გასა-  
გებია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდამ წლებში, როდესაც გი-  
ორგი ქართველიშვილს სახლში ჩამოყალიბდა ეფეხისტყაოსნის საგამომ-  
ცემლო კომიტეტი და მოსე ჯანაშვილმა იმაში საბატიო აღვილი დაიკავა,  
მას გადაუცია კომიტეტისათვის საკუთარი ზუნაწერი პოემისა, რომელიც,  
მისი ცნობით („ტრიბუნა“ 1923 წ. № 469), გახდა „დედანი“ ქართველი-  
შვილის გამოცემისა, ამიერიდან იწყება საგანგებო დირტერესება პოე-  
მით ჩვენი მკვლევარისა, რომელიც მის შესახებ აქვეყნებს გამოცვლევებს  
სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ ცალკე წიგნაკებად. 1896 წელს მან  
გამოსცა ნარკვევი „მოთა რუსთაველი“, რომელშიც შეჯამებულია სხვა-  
დასხვა მკვლევარის შეხედულებანი ეფეხისტყაოსანზე. 1899 წელს გაზეთ  
„ივერთაში“ (№№ 3, 47) ათავსებს სტატიას „რუსთაველის განმაჭიქებელ-  
ნი“, რომელშიც მოითხოვს მკვლევართაგან, პირველყოფლსა, პოემის  
ენის საფუძვლიან ცოდნას. 1900 წელს სცემს თხზულებას „Царина Та-  
марა“ რომელშიც, თავისი საკუთარი, თუ სხვათა სიტყვებით, ეფეხის-  
ტყაოსანის საკითხებსაც ებუბა. 1904 წელს („მოამბეში“ №№ 2, 3, 4) ათავ-  
სებს წერილებს „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“ (ეს წერილები  
ცალკე წიგნადაც გამოუშვა ავტორმა), რომელშიც პოემა განხილულია,  
როგორც ნამდვილი წყარო თამარ მეფის და მისი დროის ისტორიისა.  
1910 წელს „ნაშრომის“ შესაძვე წიგნში მან მოათავსა ერთეული წერილი  
„რუსთაველის გარშემო“, რომელიც გაგრძელებია „ქართულ მწერლობა-  
ში“ მოთავსებული შენიშვნებისა. ამ წერილში მოცემულია მსხვა-განმარ-  
ტება ეფეხისტყაოსნის სიტყვებისა. დასასრულ 1923 წელს გაზეთ „ტრი-

<sup>1</sup>) „Новое Обозрение“, 1896 г. №№ 4279, 4280, 4284, 4285, გადამტვირთა „ქართულ  
მწერლობაში“ II, 144 — 170.

<sup>2</sup>) იველიშვილმა ნ. მაროშ ორი ცნობილი წერილი.

<sup>3</sup>) გადმოშვებულია „ქართულ მწერლობაში“ II, 133.

„შენაში“, მან მოათავსა მთელი სერია წერილები „თამარ მეფის შესახებნი“-ს სათაურით, რომელშიაც შეჯამებულია მისი შეხედულებები პოემის შესახებ). ამის შემდეგ სერიოზულად ის ეუფლებოდა საკითხებს აღარ დაბრუნებია განსვენებული მტკიცე და ერთგულ დარჯად უფვა ფეფხისტყაოსანს. აქამდის, რომ ყველა, ვინც სხვაგვარ, მასთან შედარებით, ფურცლებს მის შესახებ, პოემის შემოყენებად მიიხსენებდა და თავგამოდებით ეწეოდა, ეს ერთგულება გადატარებდა მდელი ეს მიუღობდა; მაგალითად, აქამდის პირველი სახით მან აღმოაჩინა საშინელი „შემრწუნელი“ პოემისა, რომელიც რუსთველს ბრალსა სუებდა იმაში, რომ მან თითქოს არ სტყუოდა „ქაღალდის ქაღალდობით შეუშოს“ (ნაშრომი № 3, გვ. 3). ეს „განჭიჭება“ თვითმტრისა შედეგია, იმისა, რომ უფრო არც ვერცხვად გაგებდა რუსთველის სიტყვები „არჩილიანის“ შეცდამით პასუხში (სტრუფ. 139, ტ. I, გამოცემა ა. ბარამიძისა).

მთავარი პრობლემები რუსთველოლოგიაში, რომელიც მ. ჯანაშვილს უკანგებოდ სინტერესებდა, არის: 1) ავტორი პოემისა, 2) დრო მისი დაწერისა, 3) პოემის რიგგანაღობა, 4) პერსონაჟები პოემისა ამ საკითხების შესახებ ის უფელთეის ერთი აზრის არ უნდა, მისი შეხედულება მათ შესახებ ევოლუციის განიცხადება; საბოლოოდ ეს მან მიიღო ის სახე, რომელიც წარმოდგენილია „ტრეპენაში“, სახელდობრ: 1) ავტორი პოემისა არის მესამე შობა თორელი ართავამთსა, თანამედროვე თამარისა და დავით სოსლანისა, რომელსაც თავის სიკაცებში (1155—1226 წ.), ეუფხისტყაოსნის გარდა, დღევანდელი ავრთვე „თამარიანი“. 2) პოემა დაწერილია თამარის საყვდილის წინაშეში, 1215 წლის მახლობლად. 3) ის უაღრესად რიგგანაღობა ნაწარმოებია, რადგანაც 4) იმაში მოცემულია შესტა ისტორია თამარის ტრთის საჭარტელოსი და მაშინდელი მესტლ-მანტრის აღმოსაფლვთის ტყუენებისა. მის შეხედულებებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია პოემისა, რომელიც პირდაპირ უკიდურესობაშია დაყვანილი. ერთხელ, სამბრას მკვლევარო, ვინაღამ არ გაგვიყოლია რუსთველოლოგების ამ ბანაკში, რომელიც ამტკიცებდა რომ ნესტან-დარეჯანად პოემაში გამოყვანილია თამარ მეფე, ხოლო ტარიელად დავით სოსლანი („ტრეპენა“ 1923 წ. № 469). არც აცხადებს ის, თამარი და დავით სოსლანი არიან არაბეთის ავთანდილი და თინათინი, ხოლო ინდოეთის ტარიელი და ნესტანი — სარსუთის უკანასკნელი სელჩუკიან. შაბი ტრღრილი (= ტარიელი), რომელსაც დახმარებას უწევს მისი ტაბტი (= ნესტანი) მიმტაცებელთა წინააღმდეგ თამარი და სოსლანი (= თინათინ-ავთანდილი). მოხედდავად ასეთი კატეგორიული განცხადებისა, მკვლევარისავე სიტყვებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ტარიელი და ნესტანი, რომელნიც ერთსადაცმაც სამეფო გვარს ეუფლებიან და ერთადერთი მემკვიდრენი არიან უძველეს გარდასული ტარსადანისა, წარმოადგენენ აღუგორიას თამარისა და დავით სოსლანისას, რომელნიც ბავრატონთა სამეფო გვარის არიან და ერთადერთი მემკვიდრენი უძველეს დარჩენილი გორგი მუჟისა.

შე აღარ შევნიშნებდი განსვენებულის სხვა შეხედულებებზე რუსთველოლოგიაში, რადგანაც ამის შესახებ დაბრავი მიჭეს სხვა ადგილს, ადვინი-

1) №№ 459, 472, 476, 478, 481, 483, 490, 499, 502, 506, 509.

2) ტარიელი — ლიტერატურის ისტორია II, 107—153.

ნაე მხოლოდ, რომ როგორც ეს უნდა ყუბდებოდა დღეს ჩვენ ამ თხზუ-  
ლებებს, ვანსუტუბულის რუსთველოლოგიურ მტუდებს, ვანსუტუბულის თა-  
ვის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ის მნიშვნე-  
ლოვანი აზრები და აზრები იხტერებს პოემისაღმის და სტიქულს  
ბძლეოდა საკითხზე დროულ დაკრძევებისა და კვლევების სტიქში აბა-  
ლი ნაბუჯების გადადგმისა. თუ მისი ისტორიულ-ლიტერატურული მოსაზ-  
რებანი რუსთველოლოგიის დარგში, ზოგიერთები რასაკვირველია, მასზე  
ზანგრძლივნი არ აღმოჩნდნენ, მისი ლექსიკოლოგიური მტუდები, რომ-  
ელიცაა პოემის კლარკულ-ინგილოვრი კლოსები და არამბებები (ტრი-  
ბუნა 1923, №№ 483, 490, 499) გინა თუ სტიქული ვანსუტუბანი (ნაშრო-  
მი № 3, გვ. 7—20), არამბროს, ყოველ შემთხვევაში დიდბანი, არ და-  
კრძევნი მნიშვნელობას და დირებულებას.

კლასიკური პერიოდიდან ვეფხისტყაოსნის შემდეგ მ. ჯანაშვილი დიდი  
ყურადღებით ებჭრობოდა სტიქებს: აბდულ-შესიანსა და თამარიანსა ამ  
თხზულებებს, ვეფხისტყაოსნთან ერთად, ის სთელიდ თამარ მეფის ნაშ-  
დელი ისტორიად, ამიტომ მათ დიდ ადგილს უბმობს თავის თხზულებაში  
„თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“.

აბდულ-შესიანის შესახებ მას მოუთავსებია წერილები ჯერ 1902 წელს  
გაზეთ „იერიაში“ (№№ 160, 162, 167). აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ის  
უფრო აზუსტებს ამ თვის თრს გამოცემაში (1913 და 1920 წ.), ზოლო  
სამოლოოდ აკაბებს მათ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“. (№№ 463, 464).  
ის თავკამოდებით ებჭრება ნ. შაროს შეხედულებას, რომ თხზულებაში შე-  
ტებულია მხოლოდ დავით აღმაშენებელი და ის დაწერილია ამ მეფის  
თანამედროვის შეთულის მიერ, გულის ტვივილს გამოსთქვას, რომ ასეთ  
რამეებს სკოლებშიაც კი ასწავლიან ბავშვებსო მისი შეხედულებით.  
თხზულებაში შეტებულია თამარი და დავით სოსლანი, თანე შეთული  
ათის თამარის თანამედროვე შეთული, რომელსაც თავისი თდა დაწერილია  
დავიითის მოწვევის განმარტლებლად. თვის გამოცემათა მნიშვნელოვან  
მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ტაპიტრალური შენიშვნა-განმარტებანი და  
ლექსიკური ხასიათის კომენტარები, რომლითაც ავტორ-გამომცემელს  
უხვად შეუწყია ეს გამოცემათი.

თამარიანის შესახებ შევლევარი ლამარკობს ჯერ 1902 წელს „იერია-  
ში“ (№№ 163, 199, 204, 223) და მერე 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“  
(№ 466). ავტორი არ იზიარებს ნ. შაროს მიერ ამ თხზულების ცალკეულ  
ოდებულ დაყოფას, უხვუნებს სტროფების იმ თანამიმდევრობას, რომელ-  
ლიც აბსოლუტება თხზულებას თაედამირველად, და არკვეს, რომ თხზუ-  
ლება დამთარებელი უნდა იყოს 1212 წელს. ერთ რამეში ის ეთანხმება  
ნ. შარს, საბელდობრი იმაში, რომ „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ არის  
ნაწარმოები ერთი ადამიანისა — შოთა რუსთველისა, მხოლოდ, თუ ნ. შარ-  
ოს რუსთველის ვეარად „ჩახრუხარე“ შეჩინდა, მ. ჯანაშვილს, „ჩახრუ-  
ხარე“ შეჩინია თანე შეთულის, აბდულ-შესიანის ავტორის, ვეარად. რა-  
ტომე ამიტომ, რომ აბდულ-შესიანი თამარიანზე აღრეა დაწერილია, დაწე-

რელია ის „ჩახრუხაული“ ლექსით, აქედან, მაშასადამე, ნახრუხადე, ნაი-  
დანაც წარმოდგა ტერმინი „ჩახრუხაული“, იყო გვარი შავთელისა. <sup>საქართველო-საქართველო</sup>  
ასეთია სოციალ ბაზებში ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის პრომე-  
ბი და შეხედულებანი მოსე ჯანაშვილისა.

ჩვენი მიზანია სრული არ იქნებოდა, თუ თრითვე სიტყვით მაინც  
არ აღუნიშნავდით მოსე ჯანაშვილის ღვაწლს ქართულ ფოლკლორისტიკა-  
ში. ის გულმოდგინედ კრებდა, ამწერებდა და აშექებდა ხალხური შე-  
მოქმედების მდიდარ ნიმუშებს, საბელღობრ: აპოკრიფებს, ლეგენდებს,  
ზღაპრებს, გარდმოცემებს და თქმულებებს.

პირველ ყოვლისა განსვენებულს ყურადღება მიუქცევია აპოკრიფთა იმ  
კრებულისათვის, რომელსაც გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ მარია-  
შისეული ქართლის ცხოვრების დამატებად (კვ. 786—846). ამ წიგნში, რომ-  
ელიც წარმოადგენს ე. წ. „განმთა ქებას“, მ. ჯანაშვილმა დაინახა ქართ-  
ლის ცხოვრებაში მოხსენებული „ნებროთის წიგნი“, თუმცა ის, აპოკრი-  
ფი, თვითონ მიუთითებს „ნებროთის წიგნზე“, როგორც სხვა, დამოუკიდე-  
ბედ ნაწარმოებზე. მან სთარგმნა რუსულად ციკლი აპოკრიფებისა, რომ-  
ელიცაა „საყითხაეი აღამისა და ეეას სამოთხით გამოსელისა“, „დაბა-  
ლება ცისა და ქვეყანისა“<sup>1)</sup>. „ნებროთიანს“ ის უბება კიდევ წერილთა  
იმ სერიასში, რომელსაც მან მოათავსა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“:  
„ერან-თურანთა ტაღლი, ნებროთიანი, როსტომიანი“ (№№ 98 — 103,  
158 — 165).

განსვენებული უფრო მეტად აღევდა ყურადღებას ამირანის ციკლის  
თქმულებებს, რომელთა შესახებ მან მოათავსა რიგი წერილებისა „ივე-  
რიაში“ (1899 წ. №№ 239 — 241, 244 — 245), მეტი რუსულადც იქნა  
სთარგმნალი მის მიერ<sup>2)</sup>. ამ თქმულების სვანურ ვერსიას ის სამეცნიეროდ  
შეეხო რუსულ ენაზე<sup>3)</sup>.

„ამირანიანი“ მას მიიჩნდა უძველეს, ელინთა პრომეთეს პარალელურ  
მოვლენად.

ლეგენდათა ციკლიდან განსვენებული საგანგებოდ გვაცნობს სამს ნა-  
წარმოებს, ესენია: 1) დიდი ზორეშანი (ივერია, 1887, № 93), 2) ხორნაბუ-  
ჯის ციხე (სახალხო ფურცელი 1915, № 259), 3) Легенда о кавхетин-  
ском море<sup>4)</sup>. გარდა ამისა, თხზულებაში „Царница Тамара“ (1900 წ.)  
ის ლაბარავობს რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ცნობილი ლექსის შე-  
სახებ და კატეგორიულად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ აქ ღრ-  
დო თამარი იგტლესხმებოდეს, მისი პიპოთეზით, ლერმონტოვის თამარი  
ქნდა იყოს შერეიდმობტ საუცუნის ქალები: ან თეიმურაზ პირველის ასუ-  
ლი ნესტან-დარეჯანი, ან, უფრო, შამნაოზის (ვახტანგ V) მისი შვილი თა-

<sup>1)</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX.

<sup>2)</sup> Грузинская предания об Амيرانе. Сборник материалов, вып. XXXII.

<sup>3)</sup> Сванетская версия легенды об Амيرانе. „Кавказ“, 1906, № 261.

<sup>4)</sup> Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества, вып. XIV, гла. „Кавказ“, 1896, № 182.

მარი, რომელიც დასავლეთ-საქართველოში მეფე-მთავართა კლდეებზე ხელში ვადადიოდა (სრ. 35 — 38). ლუგენდათა ციხის მართებელთა „ქართული ეანი“, რომელსაც მან უძღვნა წერილი (სახალხო ფურცელი 1915 № 256). წერილში „მზე“ (ივერია 1909 წ. № 14) მკვლევარი გვაეწოდებს ხალხურ მითებს მზისა და მთვარის შესახებ. განსვენებულს უწოდდება მიქაე- ვია აგრეთვე ზღაპრებისათვისაც. მისი ინტერესი ხალხური შემოქმედების ამ დარისადმი გამოვლენილია იმ რეცენზიაში, რომელიც მან უძღვნა ნ. შერვეილდის მიერ შეკრებილ „ხალხურ ზღაპრებს“ (ივერია 1902 № 277). განსაკუთრებით კი თვით მის მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ „ინგი- ლოური ზღაპრები“. თავდაპირველად მან თარგმნა რუსულად იქსი ინგილოური ზღაპარი<sup>1)</sup>, მერე კი თავის კამიტალურ „საინგილოში“ (მკვ- ლი საქართველო, ტ. II, განყ. IV) მოათავსა 15 ზღაპარი და თქმულება- ნი „მოლა მასხადინისა“ და „თამარ დედოფლისა და ილიკანდრე მაყე- ღონელის“ შესახებ (გვ. 181 — 221).

მე აღარ შევჩერდები მისე ჯანაშვილის სხვა უამრავ შენიშვნასა და კრიტიკულ წერილზე, რომელნიც არსებითად წარმოადგენენ შემოადინიშ- ნული მისი შრომების pendant-ს. საჭიროდ ეთვლით, დასვენის სახით, განვიხილოთ ის ადგილი, რომელიც ეკავა ჩვენს მეცნიერებაში ამ უდავოდ ნაჭიურს, ენერგიით აღსავსეს, გონებაშაბილს და საშობლოსადმი უსა- ზღურო და უზადო სიუვარულით განმსჭვალულ მოღვაწეს.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც სამეცნიერო მსახურებზე გამოდის აწ განსვენებული ნ. მარი, ქუშანიტარულ ქართველო- ლოგიაში ჩაისახა ო/ო, ერთი მეორის მოპირდაპირე, ბანაყი, რომელთაც მიმდინარე საუკუნეში მკვეთრად ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე მიიღეს. ერთი იყო ე. წ. პეტერბურგის „შოლა“, რომელსაც სთავებში უღვა თვითონ ნ. მარი, ეს შოლა სცდილობდა ქართველოლოგიაში რეალ- კრიტიკული მეთოდის მომარჯვებას. მას საქართველოს წარსული შეკვა- და, როგორც მისი წარმოადგენელი ამბობდნენ ზოლზე, „ზოგად-კაც- სურია-ფილოლოგიის ფართო ფარვატურში, სავსებით გარკვეული ორიენ- ტაციით „წინააზიის“ მსოფლიოზე. მეორე ბანაყმა სახელმწიფანელოდ გაი- ხიდა ბროსესაგან შეთვისებელი, 17 — 18 საუკუნეთა ქართული მეცნიერ- შრომობრების თეორია, რომელიც ბროსეს დროს გადაჭარბებით აკმაყო- ფილებდა აღმოსავლეთმცოდნეობის მოთხოვნილებას არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც. ეს თეორია, უმთავრესად ტრადიციულ და მფარებული და ამიტომ საგრძნობლად ცალმხრივი, საქართველოს წარ- სულს იღებდა, განსაკუთრებით ბროსეს მიმდევართა შრომებში, გან- ცალკეუბებლად იზოლირებულად აღმოსავლეთის მუშობელ ქვეყანათა წარსულისაგან, ანდა, თუ მიმართავდა იმას, მშობლიური წარსულის უპირატესობის საილიუსტრაციოდ უმთავრესად. ამ მეორე ბანაყის ლო- ზუნგი იყო „მაქულიშვილობა მეცნიერებაში“, პირველის კი ნ. მარის სიტყვები, მგონის აკაცისადმი მიმართული: *ученый перестал бы быть ученым с момента, когда он решил бы скрыть научную*

1) Сборник материалов для издания, вып. XXXII.

правду потому, что она, положим, оказалась бы вредной его сородичам, не говоря уже о том, что если бы она могла произойти вред, то не от правды, а от игнорирования ее. ამ არა ბანაკს შორის გაჩაღდა განსაკუთრებით მძიმდინარე საფრენები, დატვირთული ბრძოლა, ეს იყო ბრძოლა. თუ შეიძლება ითქვას, „ამათა და შეტანა“ შორის, ახლსა და შევლს შორის, მსგავსი იმ ბრძოლსა, რომელიც გასული საფრენის სამოციან წლებში გაიშალა ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის. ეს ბრძოლა ზოგჯერ მეცნიერთათვის შეუფერხებელ ფორმებსღებულობდა მოსუ ჯანაშვილი ამ ბრძოლაში გამოდის „ამათა“ შემაირახტრედ და სტლხს სამდგმულად. ამით აიხსნება, რომ იშვიათად გამოდითა მისი სტლიდან ისეთი რამე, რომელიც ნ. შარს თულისა პოლიტიკიდან არ უარეფო. მსგავსადეე იშვიათად გამოსტლა რომელიმე შრომა ნ. შარისა, რომელიც მოსუ ჯანაშვილს, ამათემ ხაზით და ზისართულებით, არ გაევიღოს, და არა მარტო ნ. შარისა, არამედ მისი შეგირდებისაც. ყოველ შემთხვევაში სახამ უვანსკენელნი ახლად შექმნილს თბილისის უნივერსიტეტში არ მოაყრიდნენ თავს სამეშაოდა ამ პოლიტიკაზე დაჩნენ ჩრთეე ბანაკს შემაირახტრენი, სახამ უდმობელმა სიტყვილმა რჩივენი თათქმის ერთვროდლად არ მოაშორა სამეცნიერო ამარეს ამ ათი წლის წინათ.

უფიქრობ. თრთეე ბანაკი აჭარბებდა მამულიშვილობა მეცნიერებაში ადვილებელია. მარამ იმ პირობით, თუ ეს იქნება სტიმული მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არა მეთოდი მისა. მ. ჯანაშვილს სახამდლოდ მაინც უნდა ითქვას, რომ, მის ბანაკში მყოფთაგან განსხვავებით, მას მამულიშვილობასთან ერთად ადვილებლად შეიძინდა პირველწყაროების ცოდნაც. იმ მისი სიტყვილია: „ჩვენ თანამდებნი ვართ წმინდა ტროცკულ საენჯეს შელევით არა თუ მარტო მთწიწებთა და მოკრძალებით, არამედ დაშურვულნი პაშტა, სამხადისითა და ცოდნით. ტშინობ მ. ა. შტასა, რადგან სრულღის ცოდნის ტრინა ქართულ-შეტვტვდუბისა დღეს თათქმის შეუძლებელია, რადგან არ გვაბადია საყუთარე სამეცნიერო ავადეშია. არ გვაქვს კიი ლექსიკონები, არ გამოგვიცია ქართული ბიბლია, და სხვა წიგნები, არ შეგვისწაულია ქართული ენა და კილოკაეები, არ გამოგვიცია საგზარო და საბაღბო ნაწარმოებნი, არ გვაქვს ხელში შექნიერვლად შემეშავებელი ესტორია ქართული ერისა. მისი კანონმდებლობა და უკვეითარი საბუთები მისი ცხოვრებისა და ყოფაქცეუისა ცნობაში მოყვანილია, განმარტებულ-განმარცვლულად არ მოგვეპოვება“ („ნაშრომი“ III, 5). ამ სიტყვიებს იმ 1910 წელს სწერდა. მას შემდეგ 34 წელიწათი გაიდა, ახლა ჩვენ შეგვიძლია სთამავს გრძნობით ჩავსახოთ მას საფლავში: ჩვენ დღეს უკვე გვაქვს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან, სამეცნიერო კავადემია მაშასადამე. ამასთან დაკავშორებით, გვაქვს ქარგი ლექსიკონები, კარგი გამოცემანი ბიბლიისა და სხვა თხზულება-ლოკუმენტისა, შესწაული იქნება ქართული ენა და მისი კილოკაეები, დაშეშავდება ქართული ისტორია და ლიტერატურა, და ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენს მოვალეობას როგორც მეცნიერების, ისე შენს წინაშე დაუფიქარი და უკვდავ იუოს შენი საბელი ქართულ მეცნიერთა შორის!